№2429 2015 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 37 01 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მე-15 საერთაშორისო გამოფენაში „Agro+Food+Drink+Tech Expo 2015“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებისა და ფერმერთა მონაწილეობის მიღების ორგანიზებასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**